

„დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა“

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის
წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზიის რექტორი, მარგვეთისა და უბისის
ეპარქიის ეპისკოპოსი **მელქისედეკი (ხაჩიძე)**
ბრძანება №09/2; 10 თებერვალი, 2023 წელი

**ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი
წესრიგის დაცვის წესები და პირობები**

შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროსთან - 08.02.2023 წელი (MES 2 23 0000144599)

ხარაგაული
2023 წელი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები
თავი I

ზოგადი დებულება

წინამდებარე „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“ შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვარის №06/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 1. რეგულირების სფერო და მიზანი

1. გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები ითვალისწინებს (შემდგომში – წესი) გიმნაზიაში (შემდგომში – გიმნაზია) ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს;
2. ამ წესის მიზანია:
 - 2.1. ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი ინტერესების გათვალისწინება;
 - 2.2. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასწავლო პროცესისა და გაკვეთილების მიმდინარეობის დროს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების განხორციელება და შესაძლო დარღვევების შემთხვევაში სწრაფი რეაგირება;
 - 2.3. უსაფრთხო სასკოლო სასწავლო გარემოს შექმნა;
3. ამ წესით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე, საქართველოს კანონმდებლობისა და ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების დაცვით, პასუხისმგებელია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და დირექცია, კერძოდ: რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.

მუხლი 2. შინაგანაწესში განსახორციელებელი ცვლილებები

- 1.1. გიმნაზიის შინაგანაწესში და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების შემდეგ, წინამდებარე „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“ დაერთოს შინაგანაწესს და ჩაითვალოს მის განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

- 4.1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს, ამ წესის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) გიმნაზიის ადმინისტრაცია – სკოლის სამტატო ნუსხით გათვალისწინებული პირები (გარდა მასწავლებლისა), ასევე სკოლაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები;
 - ბ) გიმნაზიის დირექცია – გიმნაზიის რექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;

- ა) ა) საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
გ) კანონიერი წარმომადგენელი – მოსწავლის მშობელი ან/და საქართველოს კანონმდებლობის დაცვით უფლებამინიჭებული უფლებამოსილი პირი;
- დ) საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის – ფაქტი ან/და ინფორმაცია, რომელიც დააკმაყოფილებდა ობიექტურ დამკვირვებელს გარემოებათა გათვალისწინებით დასკვნის გასაკეთებლად;
- ე) სასკოლო დრო – სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული პროცესის, აგრეთვე სკოლის მიერ ინიცირებული, ორგანიზებული, კონტროლირებული, დაფინანსებული ნებისმიერი ღონისძიების მიმდინარეობის დრო;
- ვ) სამინისტრო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ზ) რესურსცენტრი – სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – საგანმანათლებლო რესურსცენტრი;
- თ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება – იმავე სქესის დირექტორის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ მოსწავლის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე ან/და ნივთის დათვალიერება მეტალოდეტექტორის გამოყენებით;
- ი) უსაფრთხოების სპეციალისტი/უფლებამოსილი პირი - შესაბამისი განათლების მქონე, ნასამართლობის არმქონე საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც უზრუნველყოფს გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

თავი II

მუხლი 4. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები

4.1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის გიმნაზია ვალდებულია:

- ა) განახორციელოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას უზრუნველყოს შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები;
- 4.2. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია უსაფრთხოების სპეციალისტი;
- 4.3. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;
- 4.4. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად, სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განათავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და ევაკუაციის გეგმა.

მუხლი 5. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი პრევენციული ღონისძიებები მექანიზმები

5.1. ინფორმირებულობის უზრუნველყოფის მიზნით, გიმნაზიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია:

- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი - „112“;
- ბ) ცხელი ხაზის ნომერი – 112;
- გ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნომერი – 032 2 200 220;
- დ) საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი – 598 08 30 06, 1481;
- ე) გიმნაზიის სამედიცინო სამსახურის ტელეფონის ნომერი - 0433 22 10 41;
- ვ) გიმნაზიის ფსიქოლოგის ტელეფონის ნომერი - 0433 22 10 41;
- ზ) გიმნაზიის უსაფრთხოების სპეციალისტის ტელეფონის ნომერი - 591 81 20 09;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
5.2. გიმნაზია უზრუნველყოფს სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს 10 დღისა მოსწავლეებსა და მათ
კანონიერ წარმომადგენლებს საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების საშუალებით, მიაწოდოს
ინფორმაცია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების/უწყებების ნომრების,
ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ.

მუხლი 6. მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა

- 6.1. უსაფრთხოების სპეციალისტი და დირექცია სასწავლო წლის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის
ვადაში უზრუნველყოფს მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე, გიმნაზიის საგანგებო
სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობას ყველა მოსწავლისათვის საინფორმაციო შეხვედრების
ან/და სხვა ღონისძიებების საშუალებით - მისი ვიზუალიზაციით, სახელოვნებო/შემოქმედებითი
მიდგომების გამოყენებით, რომელიც არ ისახავს მიზნად მოსწავლეში შიშის გრძნობის გაღვივებას,
დასჯის შიშის შექმნას და სხვა, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება ასაკობრივი თავისებურებები;
- 6.2. მოსწავლეთა უფლებებისა და წესების გაცნობა მოხდება სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით,
კერძოდ: „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, „მოსწავლის ქცევის კოდექსის
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30
აგვისტოს №79/ნ, ბრძანება, „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ, ბრძანება,
„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის
დაცვის წესები და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ, ბრძანება, გიმნაზიის შინაგანაწესი
და წინამდებარე წესი;
- 6.3. დაუშვებელია მოსწავლისათვის მოსწავლის უფლებებისა და წესების გაცნობა დოკუმენტზე
ხელმოწერით.

მუხლი 7. ანონიმური ყუთი

- 7.1. გიმნაზიის სასწავლო კორპუსის ორივე სართულზე განთავსებულია „ანონიმური ყუთი“ გიმნაზიაში
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე მოსაზრებისათვის, რომლის
გახსნასაც ყოველი დღის ბოლოს განახორციელებს აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
- 7.2. წერილებში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის იდენტიფიცირების შემდეგ,
დაუყოვნებლივ ეცნობება უსაფრთხოების სპეციალისტს, პრობლემის (ასეთის არსებობისას) გადაჭრის
საჭიროების შემთხვევაში, კომუნიკაციის ფარგლებში უზრუნველყოფენ გადაჭრის გზების
იდენტიფიცირებას და შესაბამის რეაგირებას რექტორის ჩართულობით;
- 7.3. უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია ანონიმური წერილები, რომელიც შეიცავს ინფორმაციას
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის საკითხებზე, დასკანერებული ფორმით,
რომელსა აქვს მისი დედნის თანაბარი იურიდიული ძალა, შეინახოს გიმნაზიის რექტორის
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადით.

მუხლი 8. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება

- 8.1. გიმნაზიის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასებას ახორციელებენ
მასწავლებლები, მოსწავლეები და მათი კანონიერი წარმომადგენლები წერილობითი ფორმით,
ანონიმურობის დაცვით, რომელიც იძლევა გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა
და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და
მისი შემცვენი პირის მიერ პრობლემის გადაწყვეტის გზების შეთავაზების შესაძლებლობას;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
8.2. შეფასების კითხვარს, უსაფრთხოების უსაფრთხოების სპეციალისტის (შემდგომში სპეციალისტი)
წარდგინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს გიმნაზიის
რექტორი;

8.3. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასწავლო/საგაკვეთილო პროცესის დროს უსაფრთხოებისა და
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შეფასება ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ
და სრულდება ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე
ანონიმურობის დაცვით;

8.4. მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ შეფასების კითხვარის შევსებას
უზრუნველყოფენ კლასის დამრიგებლები, ხოლო მასწავლებლების მიერ შეფასების კითხვარის
შევსებას და დირექციისათვის წარდგენას უზრუნველყოფს უსაფრთხოების სპეციალისტი 23 დღით
ადრე;

8.5. შეფასების კითხვარის წერილობითი ფორმით შევსების შემთხვევაში გიმნაზიის დირექცია
უზრუნველყოფს მასწავლებლების მიერ შევსებული შეფასების კითხვარების განზოგადების
გიმნაზიის სივრცეში სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის
დაცვაში

იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით, ასევე სხვადასხვა კლასის დამრიგებლების
მიერ მიწოდებული განზოგადებული ინფორმაციის დაჯგუფებას შემსეები პირების
სტატუსის და გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში იდენტიფიცირებული პრობლემების მიხედვით
ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე არანაკლებ 15 კალენდარული დღით ადრე და
განზოგადების შედეგებს წარუდგენს გიმნაზიის რექტორს;

8.6. იდენტიფიცირებული პრობლემების განზოგადებისას, რომელიც მოხდება ელექტრონული
ფორმით, დაუშვებელია გიმნაზიის რომელიმე პრობლემის უგულვებელყოფა;

მუხლი 9. ძალადობის რისკების შეფასება გიმნაზიაში

9.1. ადრეულ ეტაპზე ძალადობის პრევენციასა და ძალადობის განმეორების საფრთხეების
იდენტიფიცირების მიზნით, გიმნაზია სასწავლო წლის განმავლობაში სულ მცირე ერთხელ
განახორციელებს ძალადობის რისკების შეფასებას მოსწავლეებში და მასწავლებლებში, რა
დროსაც დაცული იქნება მოსწავლეთა და მასწავლებელთა ანონიმურობა;

9.2. მოსწავლეებში ძალადობის რისკების შეფასება არის სკოლის მიერ ძალადობის პრევენციის
მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების
საფუძველი.

მუხლი 10. ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება

10.1. გიმნაზიის მოსწავლეებს, მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ადმინისტრაციის
წარმომადგენლებს ან/და მასწავლებლებს ფსიქოსოციალური მომსახურების მიღება
შეუძლიათ:

ა) ფსიქოლოგთან სატელეფონო აპლიკაციის ან/და პირისპირ, რომლის ტელ. ნომერი
განთავსებულია გიმნაზიის სასწავლო კორპუსის ორივე სართულზე, რა დროსაც დაცული
იქნება ანონიმურობა;

ბ) ფსიქოლოგთან ონლაინ კონსულტაციით;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
10.2.ონლაინ კონსულტაციისა და სატელეფონო აპლიკაციისას მიღებისას მოსწავლეების, მათი
კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე გიმნაზიის ადმინისტრაციის
წარმომადგენლების ან/და მასწავლებლებისათვის დაცული იქნება ანონიმურობა;

10.3.ფსიქოლოგი მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს, გიმნაზიის ადმინისტრაციის
წარმომადგენელსა და მასწავლებელს უწევს კონსულტაციას პრობლემების შესაძლო
გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, ამასთან იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია
პრობლემის გადაჭრის მიზნით ფსიქოლოგიური მომსახურების მიღება, უწევს
კონსულტაციას ამ მომსახურების მიღების გზებთან დაკავშირებით და უხსნის აღნიშნული
სერვისის მნიშვნელობას.

მუხლი 11. საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები

11.1.გიმნაზია სასწავლო წლის განმავლობაში მინიმუმ ორჯერ აწარმოებს მოსწავლეებისთვის
საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას, სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით
(დისკუსიების/დებატების მოწყობას, საკლასო/სასკოლო ესეების, ნახატების კონკურსის გამართვას,
სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას, ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებას, უბნის
ინსპექტორთან მოსწავლეების შეხვედრების ორგანიზებას), კერძოდ:

- ა) ძალადობის წინააღმდეგ;
- ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ;
- გ) ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ;
- დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით.

11.2. მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანია გიმნაზიამ შეიძლება
აწარმოოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე, კერძოდ:

- ა) დისკუსიების/დებატების მოწყობით;
- ბ) საკლასო/სასკოლო ესეების კონკურსის გამართვით;
- გ) საკლასო/სასკოლო ნახატების კონკურსის გამართვით;
- დ) სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებით;
- ე) საკლასო/სასკოლო თეატრალური წარმოდგენების გამართვით;
- ვ) ფილმების/ვიდეორგოლების ჩვენებით;
- ზ) როლური თამაშების გამართვით;
- თ) სხვადასხვა ხასიათის კვირეულების მოწყობით (მაგ: დისკრიმინაციის წინააღმდეგ
ბრძოლის კვირეული);

11.3.გიმნაზია სასწავლო წლის განმავლობაში, ასაკობრივი თავისებურების გათვალისწინებით, მინიმუმ
ერთჯერ უზრუნველყოფს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლებთან საინფორმაციო
ხასიათის ღონისძიებების მოწყობას ისეთ საკითხებზე, როგორცაა:

- ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებაში და აღზრდაში;
- ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია;
- გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
- დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
- ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე;
- ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი და სხვა.

11.4.გიმნაზიის მიერ ორგანიზებული მოსწავლის მშობელთან/მშობლებთან/კანონიერ
წარმომადგენელთან/წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია ღონისძიებები შეიძლება იყოს როგორც ფასიანი, ასევე უფასო, რა დროსაც შესაძლოა მოწვეულ იქნას უზნის ინსპექტორი, რაიონის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიის/სამართლის/სოციალური მუშაობის მიმართულების ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტები ან/და მაგისტრანტები.

თავი III

მუხლი 12. გიმნაზიის ტერიტორიაზე სასკოლო სასწავლო/საგაკვეთილო პროცესის დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელი ღონისძიებები

12.1. გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას წარმოადგენს:

- ა) საგანგებო სიტუაციები (ხანძარი, მიწისძვრა, წყალდიდობა და ა.შ.);
- ბ) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი (ფართო გავრცელების პოტენციალის მქონე) გადამდები დაავადების შემთხვევა (შემდგომში – გადამდები დაავადების შემთხვევა).
- გ) სუიციდური აზრი, სუიციდის მცდელობა, სუიციდი;
- დ) თვითდაზიანება;
- ე) ფეთქებადი ნივთიერებების გიმნაზიაში აღმოჩენა ან ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება;
- ვ) მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით და გიმნაზიის შინაგანაწესით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე, იმ საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად;
- ზ) მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის სხვა თანამშრომლის მიერ თამბაქოს, ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შემოტანა, რეალიზაცია, მოხმარება გიმნაზიის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;
- თ) მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება არასაპატიო მიზეზით იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული, ასევე მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე;
- ი) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა, ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა;
- კ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა;
- ლ) მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით;
- მ) მოსწავლის დესტრუქციული ქცევა;
- ნ) მის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა, მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევა;

- ა) ა) ი) კ) საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
 ო) მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის თანამშრომლის/გიმნაზიის ქონების ხელყოფა;
- პ) სხვა გარემოება ან/და ქმედება, რომელმაც შეიძლება სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს საფრთხე შეუქმნას იქ მყოფ პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, გიმნაზიის გამართულ ფუნქციონირებას ან/და სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, ასევე გიმნაზიის შინაგანაწესის, მოსწავლის ქცევის კოდექსისა და მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევა;
- 12.2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების ან/და ქმედებისას უსაფრთხოების სპეციალისტისა და გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები ემსახურება ამ წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.
- მუხლი 13. საგანგებო სიტუაციების დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები**
- 13.1. საგანგებო სიტუაციების დროს (ასეთის შემთხვევაში) უსაფრთხოების სპეციალისტი ან/და გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი რეკავს განგაშის ზარს და საფრთხის შესახებ ატყობინებს შენობაში მყოფ ყველა პირს;
- 13.2. განგაშის ზარის დარეკვისთანავე შეწყდება სასწავლო პროცესი;
- 13.3. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს სიმშვიდის შენარჩუნება და შესაძლო პანიკის აღკვეთას;
- 13.4. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უკავშირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს და აცნობებს საგანგებო სიტუაციის თავისებურებებს, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის მიზეზს, სავარაუდო მასშტაბებს, არსებულ ვითარებას;
- 13.5. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს გიმნაზიის შენობაში მყოფი პირების განთავსებას უსაფრთხო ადგილას.
- 13.6. კლასის დამრიგებელი აღრიცხავს თავისი კლასის მოსწავლეებს, ადგენს და აღრიცხავს დაკარგული ადამიანების რაოდენობასა და ვინაობას და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გადასცემს შესაბამის პირებს;
- 13.7. კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას, რა დროსაც სასურველია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია;
- 13.8. გიმნაზიის რექტორი საგანგებო სიტუაციების შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხარაგაულის რესურსცენტრს და უფლებამოსილ ორგანოებს;
- 13.9. საგანგებო სიტუაციის დროს, სიტუაციის გათვალისწინებით, უნდა მოხდეს:
- ა) გაზის, ელექტროხელსაწყოების, წყალსადენი ქსელის გათიშვა;
 - ბ) გიმნაზიის სივრცეში არსებული დოკუმენტაციის, კომპიუტერული ტექნიკის, ლაბორატორიული მოწყობილობების, ნივთების და ინვენტარის შეძლებისდაგვარად განთავსება შენობის უსაფრთხო ნაწილში.
- 13.10. უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია საგანგებო სიტუაციის ადგილზე უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება და მისთვის ვითარების გაცნობა;

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
- 13.11.საგანგებო სიტუაციის მართვას დაქვემდებარებისთანავე, უსაფრთხოების სპეციალისტი და ფსიქოლოგი უზრუნველყოფენ მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მდგომარეობის პირველად შეფასებას;
- 13.12.საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების სპეციალისტი უზრუნველყოფს მოსწავლის, კანონიერი წარმომადგენლის, მასწავლებლის გადამისამართებას ფსიქოლოგთან და სოციალურ მუშაკთან;
- 13.13.საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დასკვნის საფუძველზე გიმნაზიის რექტორი მიმართავს სამინისტროს სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ;
- 13.14.გიმნაზია უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურისათვის „სამედიცინო სტატისტიკური წარმოებისა და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისადა სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/5 ბრძანებით დამტკიცებული მოთხოვნების დაცვით;
- 13.15.გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიმნაზიის რექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 14. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველი გადამდები დაავადების შემთხვევის დროს

- 14.1.გიმნაზიაში გადამდები დაავადებების შემთხვევის გამოვლენისას გიმნაზიის ექიმი/უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის დირექციის ან/და ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს და ურჩევენ სიმშვიდის შენარჩუნებას;
- 14.2.შეტყობინების შემდეგ გიმნაზიის ექიმი უზრუნველყოფს დაავადებაზე საექვო ყველა პირის (ბავშვი/თანამშრომელი) იზოლირებას სხვა პირებისგან ფსიქოლოგის ჩართულობით, ასევე, კონტაქტირებული პირების იდენტიფიცირებას და მათ იზოლირებას;
- 14.3.გიმნაზიის უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს გიმნაზიაში სიმშვიდის შენარჩუნებას;
- 14.4.გიმნაზიის ექიმი, ფსიქოლოგი, უსაფრთხოების სპეციალისტი, გიმნაზიის რექტორი გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს დაავადებაზე საექვო ყველა პირის (ბავშვი/თანამშრომელი) იზოლირებას სხვა პირებისგან;
- 14.5.გიმნაზიის ექიმი უზრუნველყოფს გადამდებ დაავადებაზე საექვო პირებზე დაკვირვებას/მეთვალყურეობას სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე, ასევე საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენას და ახდენს სასწრაფო დახმარების ბრიგადის ინფორმირებას შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსის ხაზგასმით (მაგ, ნიშნები, ზუსტი დრო, ადგილი, გატარებული ღონისძიებები და ა.შ.) და, საჭიროების შემთხვევაში, ასრულებს მათ მითითებებს;

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
- 14.6.კლასის დამრიგებელი/გიმნაზიის ადმინისტრაცია მომხდარის შესახებ ატყობინებს მხოლოდ გადამოწმებულ ინფორმაციას მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს/დაავადებულის ოჯახს, საუბრისას ინარჩუნებს მშვიდ ტონს;
- 14.7.გიმნაზიის რექტორი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის;
- 14.8.გიმნაზიის ექიმი ვალდებულია უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურისთვის „სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის წარმოების და მიწოდების წესის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 25 მარტის №01-26/ნ ბრძანების მოთხოვნათა დაცვით;
- 14.9.გიმნაზიის ექიმი უზრუნველყოფს ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური სამსახურის რეკომენდაციების საფუძველზე;
- 14.10. ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებას გიმნაზია უზრუნველყოფს ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობით;
- 14.11.ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების მიზნით გადაწყვეტილებას სასწავლო პროცესის შეჩერების, შეწყვეტის ან განახლების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, გიმნაზიის რექტორის მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 15. სუიციდური აზრი

- 15.1.ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ, ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სპეციალისტს/გიმნაზიის ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ სუიციდური აზრის მქონე მოსწავლის კლასის დამრიგებელს;
- 15.1.ინფორმაციის მიღებისთანავე, უსაფრთხოების სპეციალისტი, გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, კლასის დამრიგებელი ესაუბრება და ამშვიდებს მოსწავლეს;
- 15.2.დაუშვებელია მოსწავლისათვის დაპირების მიცემა, რომ არ მოხდება მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება უსაფრთხოების სპეციალისტის/უფლებამოსილი პირისათვის/გიმნაზიის ადმინისტრაციისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის/ფსიქოლოგისათვის/კლასის დამრიგებლისათვის;
- 15.3.მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ან/და ფსიქოლოგის გიმნაზიაში გამოცხადებამდე დაუშვებელია მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ;
- 15.4.მოსწავლის სუიციდური აზრის შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გამჟღავნება დასაშვებია მხოლოდ უსაფრთხოების სპეციალისტის/უფლებამოსილი პირის/გიმნაზიის ადმინისტრაციის/მოსწავლის კლასის დამრიგებლის/კანონიერი წარმომადგენლისა და ფსიქოლოგისთვის;
- 15.5.უსაფრთხოების სპეციალისტი/უფლებამოსილი პირი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკის გამოძახება, რომლებიც ცალ-ცალკე ესაუბრებიან მოსწავლესა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებენ სიტუაციის პირველად მართვას;
- 15.6.უსაფრთხოების სპეციალისტი ამისამართებს სუიციდური აზრის მქონე მოსწავლეს ფსიქოლოგთან.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
მუხლი 16. სუიციდის მცდელობა

- 16.1. მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე ყველა პირი ვალდებულია შეეცადოს, შეაჩეროს სუიციდის მცდელობა;
- 16.2. მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შემსწრე პირი/ უსაფრთხოების სპეციალისტი/ უფლებამოსილი პირი/ გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი - „112“, ხოლო შემდგომ ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს უსაფრთხოების სპეციალისტს/ გიმნაზიის ადმინისტრაციას;
- 16.3. დაუშვებელია სუიციდის მცდელობის შემსწრე პირის მიერ სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის დატოვება უმეთვალყურეოდ უსაფრთხოების სპეციალისტის/ გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მოსვლამდე;
- 16.4. უსაფრთხოების სპეციალისტი/ გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლი, ექიმი ვალდებულია არიან დაუყოვნებლივ გამოცხადენ შემთხვევის ადგილას და უზრუნველყონ მოსწავლისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა (იმ შემთხვევაში);
- 16.5. გიმნაზიის რექტორი მოსწავლის მიერ სუიციდის მცდელობის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;
- 16.6. უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თვითმხილველი მოსწავლეების განრიდებას, მათზე მეთვალყურეობას, დამშვიდებასა და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას;
- 16.7. დაუშვებელია სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის უმეთვალყურეოდ დატოვება, კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის მოსვლამდე;
- 16.8. უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაცია მომხდარის შესახებ ინფორმაციას აწვდის კლასის დამრიგებელს, რომელიც უზრუნველყოფს მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდებას სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისთვის, რა დროსაც რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი ტონი;
- 16.9. უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება სუიციდის მცდელობის მქონე მოსწავლეს, კანონიერ წარმომადგენელს და თვითმხილველ მოსწავლეებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;
- 16.10. უსაფრთხოების სპეციალისტი სუიციდური აზრის მქონე მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს, ასევე საჭიროების შემთხვევაში, სუიციდის მცდელობის ფაქტის შემსწრე მოსწავლეს ამისამართებს ფსიქოლოგთან;

მუხლი 17. სუიციდი

- 17.1. გიმნაზიაში სუიციდის შემთხვევაში, სუიციდის ფაქტის შემსწრე პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია ნომერი - „112“, ხოლო შემდგომ უსაფრთხოების სპეციალისტს, გიმნაზიის გიმნაზიის ადმინისტრაციას;

- 17.2.უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს თვითმხილველი მოსწავლეების განრიდებას, მათზე მეთვალყურეობას, დამშვიდებასა და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას;
- 17.3.უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს შემთხვევის ადგილის დაცვას, გადაკეტვას;
- 17.4. უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაცია სუიციდის შესახებ ატყობინებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს/კანონიერ წარმომადგენლს მხოლოდ პოლიციის მიერ გარდაცვლილის იდენტიფიცირების შემდეგ;
- 17.5.გიმნაზიის რექტორი სუიციდის ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;
- 17.6.სუიციდის თვითმხილველი მოსწავლეების კლასის დამრიგებელი სუიციდის ფაქტის შესახებ ინფორმაციას ატყობინებს სუიციდის თვითმხილველი მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს;
- 17.7. უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, სუიციდის თვითმხილველ მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს, მასწავლებლებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;
- 17.8.უსაფრთხოების სპეციალისტი და გიმნაზიის ადმინისტრაცია, საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს სუიციდის თვითმხილველ მოსწავლეებს, ასევე დაღუპული მოსწავლის მასწავლებლებს ფსიქოლოგთან;
- 17.9.დაუშვებელია გიმნაზიის ტერიტორიაზე დაღუპული მოსწავლის, მუდმივი გასახსენებელი ადგილის მოწყობა და რაიმე სახის სამგლოვიარო რიტუალის ჩატარება (პანაშვიდი, გასვენება და ა.შ.).

მუხლი 18. თვითდაზიანება

- 18.1.ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს გიმნაზიის ფსიქოლოგს/უსაფრთხოების სპეციალისტს/ადმინისტრაციას, რომლებიც თავის მხრივ ინფორმაციას აწვდიან მოსწავლის კლასის დამრიგებელს;
- 18.2.ინფორმაციის მიღებისთანავე, უსაფრთხოების სპეციალისტი, ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებელი ესაუბრება მოსწავლეს და იკვლევს თვითდაზიანების მიზეზს;
- 18.3.უსაფრთხოების სპეციალისტი, ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას;
- 18.4.უსაფრთხოების სპეციალისტი/ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი, თვითდაზიანების ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის გამოძახებას, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება თვითდაზიანების განმახორციელებელ მოსწავლესა და კანონიერ წარმომადგენელს, მასწავლებლებს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;

ა) ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
18.5. მოსწავლის თვითდაზიანების შესახებ ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გამჟღავნება
დასაშვებია მხოლოდ, უსაფრთხოების სპეციალისტის, ფსიქოლოგისა ადმინისტრაციისა, რომელიც
მართავს მომხდარ სიტუაციას.

მუხლი 19. ფეთქებადი ნივთიერებების აღმოჩენა გიმნაზიაში

19.1. ფეთქებადი ნივთიერებების გიმნაზიაში აღმოჩენისას უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიისის
ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებული არიან უზრუნველყონ:

- ა) მოსწავლეების, მასწავლებლების და გიმნაზიის შენობაში მყოფი სხვა პირების დაწესებულებიდან
გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;
- ბ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი - „112“-თან დაკავშირება და
ინფორმაციის მიწოდება, ასევე რესურსცენტრის ინფორმირება;

19.2. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს:

- ა) იმ პირთა აღწერა, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;
- დ) მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაციის
მიწოდებას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, მაქსიმალურად მშვიდი ტონით და
აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფენ ევაკუირებული მოსწავლის/მოსწავლეების
მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით;

19.3. უსაფრთხოების სპეციალისტი ამისამართებს თვითდაზიანების განმახორციელებელ
მოსწავლეს ფსიქოლოგთან.

მუხლი 20. გიმნაზიაში ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ შეტყობინება

20.1. ფეთქებადი ნივთიერებების არსებობის შესახებ ანონიმური ზარების მიმღებმა პირმა
აუცილებელია სატელეფონო საუბრის დროს შეინარჩუნოს მშვიდი ტონი და
გაახანგრძლივოს საუბრის დრო, დროის მოგებისა და ინფორმაციის მოპოვების მიზნით
დამატებითი კითხვების დასმით. დროის მოგება ასევე, შესაძლებელია შემდეგი გზებით:
ზარის განმახორციელებელი პირის მონაცემების/გამონათქვამების ნაწილობრივ
არასწორად/არასრულყოფილად გამეორებით (სიფრთხილით, გადაჭარბების გარეშე);
ცუდი, უხარისხო კავშირის გათამაშებით; რაც შეიძლება ზუსტი მონაცემების მოთხოვნით
(აღნიშნული წერილობით უნდა იქნეს ასახული);

20.2. იმ შემთხვევაში, თუ ანონიმური ზარის მიმღებს აქვს შესაძლებლობა, რეკომენდებულია
ტელეფონის ხმამაღალ რეჟიმზე ჩართვა და საუბრის მიმდინარეობისას საქართველოს შინაგან
საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების
მართვის ცენტრის ნომერი - „112“-თან დაკავშირება;

20.3. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებული არიან ანონიმური
ზარის დასრულებისთანავე უზრუნველყონ:

- ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი - „112“-თან დაკავშირება და
ინფორმაციის მიწოდება, ასევე რესურსცენტრის ინფორმირება;
- ბ) მოსწავლეების, მასწავლებლების და გიმნაზიის შენობაში მყოფი სხვა პირების
დაწესებულებიდან გამოყვანა და მათი უსაფრთხო ადგილას განთავსება;

20.4. თითოეული კლასის დამრიგებელი უზრუნველყოფს:

- ა) იმ პირთა აღწერას, რომლებიც ევაკუირებულ იქნენ დაწესებულების შენობიდან;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
ბ)მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას, რა დროსაც
რეკომენდებულია კლასის დამრიგებელს საუბრისას ჰქონდეს მაქსიმალურად მშვიდი
ტონი და კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს მოსწავლის ჯანმრთელობის
მდგომარეობის შესახებ მხოლოდ გადამოწმებული ინფორმაცია;

20.5.უსაფრთხოების სპეციალისტი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ
ევაკუირებული მოსწავლის/მოსწავლეების მდგომარეობის შეფასებას კითხვარის
გამოყენებით;

20.6.უსაფრთხოების სპეციალისტი, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შეფასების
საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგთან.

მუხლი 21. მოსწავლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო
დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონა, ასევე იმ
საგნის ქონა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური
გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო
დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა
და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის ქონა, რომლებიც საჭიროა
სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა
გასარკვევად

21.1.ნებისმიერი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს უსაფრთხოების
სპეციალისტს, გიმნაზიის ადმინისტრაციას მოსწავლის მიერ საქართველოს
კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური
გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის ქონისშესახებ, ასევე იმ საგნის ქონის
შესახებ, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის
ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის
ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის
ქონის შესახებ, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური
გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად;

21.2. გიმნაზიაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით დასაშვებია
უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება, რომლის მიზანია უსაფრთხოების
სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო
დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენა, იმ საგნის
აღმოჩენა, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის
ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომით/სამართალდარღვევით
მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის აღმოჩენა,
რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის
ჩადენის გარემოებათა გასარკვევად;

21.3.უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
როდესაც გარემოებები მიუთითებს მოსწავლის მიერ გიმნაზიის შინაგანაწესის შესაძლო
დარღვევაზე ან/და შესაძლო სამართალდარღვევაზე და არსებობს საკმარისი საფუძველი
ვარაუდისათვის, რომ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შედეგად
გამოვლინდება სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა
ან/და შესაძლო სამართალდარღვევა;

- ა) ა) ი) კ) საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია
- 21.4. დაუშვებელია მოსწავლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის გადამალვა ან/და რაიმე ფორმით განადგურება. უსაფრთხოების სპეციალისტი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი ზომები მოსწავლის აღნიშნული ქმედების თავიდან ასაცილებლად;
- 21.5. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების უფლება აქვს იმავე სქესის უსაფრთხოების სპეციალისტი უფლებამოსილ, გამონაკლისი დაიშვება გამონაკლისი დაიშვება, თუ გიმნაზიაში არ არის მოსწავლის შესაბამისი სქესის პირი;
- 21.6. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება უსაფრთხოების სპეციალისტის ან/და გიმნაზიის თანამშრომლის ინიციატივით;
- 21.7. მოსწავლისა და მოსწავლის ნივთის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ხორციელდება მეტალოდეტექტორის გამოყენებით, ფიზიკური შეხების გარეშე;
- 21.8. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას წინ უნდა უსწრებდეს უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ მოსწავლის გაფრთხილება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ და მოწოდება, რომ ნებაყოფლობით, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთები გადასცეს პირს, რომელმაც უნდა ჩაატაროს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება.
- 21.9. თუ მოსწავლის მიერ წარმოდგენილია ან უსაფრთხოების სპეციალისტის ან გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ აღმოჩენილია იმგვარი სავარაუდო კანონსაწინააღმდეგო ნივთები, რომლის მოსწავლის მიერ ფლობაზე რეაგირებაც საქართველოს კანონმდებლობით სამართალდამცავი ორგანოს კომპეტენციაა, უსაფრთხოების სპეციალისტი დაუყოვნებლივ აცნობებს სამართალდამცავ ორგანოს;
- 21.10. აღმოჩენილი ნივთები უსაფრთხოების სპეციალისტის ან გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ გადაეცემა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს ან სამართალდამცავ ორგანოს, ნივთის/საგნის ხასიათის გათვალისწინებით;
- 21.11. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერებისას უსაფრთხოების სპეციალისტი ან გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ვალდებულია:
- ა) იმოქმედოს მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მოსწავლის ღირსების სრული დაცვით;
 - ბ) იყოს თავაზიანი, მომთმენი, იმოქმედოს მშვიდად და ისაუბროს მოსწავლისათვის გასაგებ ენაზე;
 - გ) მოსწავლეს არ შეუზღუდოს იმ ნივთებით სარგებლობა, რომელიც არ აფერხებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების მიმდინარეობას, ასევე, არ ჩამოართვას ის ნივთები, რომელიც არ წარმოადგენდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების მიზანს;
 - დ) უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება არ ჩაატაროს ჯგუფურად;
- 21.12. უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას დამატებით უნდა ესწრებოდეს სკოლის თანამშრომელი, რომელსაც განსაზღვრავს გიმნაზიის რექტორი;
- 21.13. უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია, მოსწავლის მიმართ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
- 21.14. მოსწავლისათვის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია დაიწყოს მოსწავლის მიმართ დისციპლინური წარმოება;
- 21.15. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნივთის უსაფრთხოების სპეციალისტისათვის გადაცემაზე, უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია დაიწყოს მოსწავლის განცალკევების პროცედურა;
- 21.16. უსაფრთხოების სპეციალისტი, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით და შეფასების საფუძველზე, ამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგთან მომსახურების მიზნით;
- 21.17. უსაფრთხოების სპეციალისტი ადგენს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ ოქმს.
- მუხლი 22. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოტროპული ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანა, რეალიზაცია, მოხმარება გიმნაზიის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნა**
- 22.1. ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილია მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის სხვა თანამშრომლის მიერ ალკოჰოლის ან/და ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების შეტანის, რეალიზაციის, მოხმარების სკოლის ტერიტორიაზე ან/და მათი ზემოქმედების ქვეშ ყოფნის ფაქტი, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უსაფრთხოების სპეციალისტს/გიმნაზიის ადმინისტრაციას;
- 22.2. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოსწავლეს აქვს ალკოჰოლი ან/და ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება უსაფრთხოების სპეციალისტი უფლებამოსილია განახორციელოს მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება ამ წესის 21-ე მუხლით დადგენილი წესით;
- 22.3. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მასწავლებელს/გიმნაზიის სხვა თანამშრომელს აქვს ნარკოტიკული საშუალება, მისი ანალოგი, პრეკურსორი, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება, ფსიქოტროპული ნივთიერება, მისი ანალოგი ან ძლიერმოქმედი ნივთიერება უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი - „112“;
- 22.4. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია მოსწავლისათვის

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის, ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის ან ძლიერმოქმედი ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს:

ა) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ნომერი - „112“;

ბ) მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

გ) შესაბამის რესურსცენტრს, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;

22.5. უსაფრთხოების სპეციალისტი ამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგთან მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 23. მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება საპატიო მიზეზის გარეშე, იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულის შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული

23.1. საპატიო მიზეზით მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია შეატყობინოს მოსწავლის კლასის დამრიგებელს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს შესაბამისი საგნის მასწავლებლის ინფორმირებას;

23.2. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ შესაბამისი საგნის მასწავლებელი არ არის ინფორმირებული, შესაბამისი საგნის მასწავლებელი მოსწავლის დაგვიანების/საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებს კლასის უსაფრთხოების/სპეციალისტს, რომლებიც ვალდებულნი არიან მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შეატყობინოს აღნიშნული ფაქტის შესახებ და დაადგინოს მისი მიზეზი;

23.3. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი არ არის ინფორმირებული მოსწავლის საგაკვეთილო პროცესზე გამოუცხადებლობის ან/და დაგვიანების შესახებ, კლასის დამრიგებელი/უფლებამოსილი პირი ვალდებულია აღნიშნული აცნობოს უსაფრთხოების სპეციალისტსა და დირექციას;

23.4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ გამოცხადდა საგაკვეთილო პროცესზე და აღნიშნულის შესახებ არ არის ინფორმირებული მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი, ამასთან ვერ ხერხდება მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ადმინისტრაცია ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“;

23.5. თუ საკითხის შესწავლის შედეგად გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოსწავლის გინაზიაში გამოუცხადებლობა/დაგვიანება გახდა მიზეზი არასრულწლოვნის სწავლის უფლების შეზღუდვისა, უსაფრთხოების სპეციალისტი ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.

23.6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება

ა) ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;

23.7. უსაფრთხოების სპეციალისტი ამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგთან მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 24. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და სკოლის დატოვება შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე

24.1. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას კლასის ან/და გიმნაზიის დატოვება დაუშვებელია შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე;

24.2. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე კლასის ან/და გიმნაზიის დატოვების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი საგნის მასწავლებელი/ნებისმიერი პირი დაუყოვნებლივ აწვდის უსაფრთხოების სპეციალისტს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნულის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას კლასის დამრიგებლისთვის;

24.3. მოსწავლის მიერ საგაკვეთილო/სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას შესაბამისი საფუძვლისა და ნებართვის გარეშე კლასის ან/და გიმნაზიის დატოვების შესახებ კლასის დამრიგებელი/უსაფრთხოების სპეციალისტი დაუყოვნებლივ აცნობებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

24.4. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის/უსაფრთხოების სპეციალისტისა და დმინისტრაციის მხრიდან ვერ ხორციელდება მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა, გიმნაზიის უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ ატყობინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“;

24.5. მოსწავლის ადგილსამყოფლის იდენტიფიცირებისა და მისი გიმნაზიაში გამოცხადების შემდგომ, უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრებასა და სიტუაციის მართვას;

24.6. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია, აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც მოსწავლეს ამისამართებს ფსიქოლოგთან მომსახურებისა და დახმარების გაწევის მიზნით.

მუხლი 25. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობა

25.1. ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობის ჩადენის ფაქტის ცოდნის ან ასეთის ეჭვის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სპეციალისტს/გიმნაზიის ადმინისტრაციას;

25.2. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ძალადობის შესაძლო შემთხვევებია:

ა) მოსწავლის ძალადობა მოსწავლის მიმართ;

ბ) მოსწავლის მიმართ ძალადობა უცხო პირის მხრიდან;

გ) მოსწავლის მიმართ ძალადობა მასწავლებლის მხრიდან;

დ) მოსწავლის მიმართ ძალადობა სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან;

ე) მოსწავლის მიმართ ძალადობა უსაფრთხოების სპეციალისტის მხრიდან;

ვ) ოჯახში ძალადობა.

25.3. მოსწავლის მიმართ მოსწავლის ან/და უცხო პირის მიერ ძალადობის შემთხვევაში:

- ა) ა) საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
- ა) უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ვალდებულია დაუკავშირდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“; რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
- ბ) უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს მოსწავლის ან/და მოსწავლეებისა და უცხო პირის განცალკევებას ამ წესის 32-ე მუხლით დადგენილი წესით;
- გ) უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით და შეფასების საფუძველზე ამისამართებს ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით;
- 25.4. მოსწავლის მიმართ მასწავლებლის ან/და გიმნაზიის ადმინისტრაციის თანამშრომლის მხრიდან ძალადობის შემთხვევაში:
- ა) უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს;
- ბ) უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
- გ) რესურსცენტრი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;
- დ) უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით და შეფასების საფუძველზე ამისამართებს ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით;
- 25.5. მოსწავლის მიმართ უსაფრთხოების სპეციალისტის ძალადობის შემთხვევაში:
- ა) გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს, რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
- ბ) რესურსცენტრი ინფორმაციას დაუყოვნებლივ ატყობინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს;
- გ) გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით და შეფასების საფუძველზე ამისამართებს ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით;
- 25.6. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში:
- ა) უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დაუყოვნებლივ უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს, რესურსცენტრსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია ბ)უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;
- 25.7.მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული ძალადობის განხორციელების შემთხვევაში, უსაფრთხოების სპეციალისტი/ფსიქოლოგთან თანამშრომლობით ფაქტის შესახებ ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად.
- მუხლი 26. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ჩადენილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევა**
- 26.1.ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ნებისმიერი სამართალდარღვევის ან/და სავარაუდო სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს გიმნაზიის უსაფრთხოების სპეციალისტს/გიმნაზიის ადმინისტრაციას, რომელიც/ებიც დაუყოვნებლივ უკავშირდებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს;
- 26.2.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფენ სამართალდარღვევის აღკვეთასა და სამართალდარღვევის ადგილის შემოსაზღვრას;
- 26.3.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს სამართალდარღვევის თვითმხილველი მოსწავლეების გნარიდებას, მათზე მეთვალყურეობას და სხვა მოსწავლეებში ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვას (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში);
- 26.4.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს დამრღვევი/დაზარალებული/თვითმხილველი მოსწავლეების კლასის დამრიგებლებისათვის ინფორმაციის შეტყობინებას, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს დამრღვევი/დაზარალებული/თვითმხილველი მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს;
- 26.5.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს ფსიქოლოგის გამოძახებას, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;
- 26.6.უსაფრთხოების სპეციალისტი ამისამართებს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელ ამისამართებს ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით;
- 26.7.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას რესურსცენტრისთვის, რომელიც თავის მხრივ ინფორმაციას აწვდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია 26.8.გიმნაზიის დირექცია ვალდებულია უზრუნველყოს სამინისტროსთან შეუთანხმებლად ინფორმაციის გავრცელების შეზღუდვა.

მუხლი 27. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენა

27.1.ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგის ან კიბერბულინგის ჩადენის ფაქტის ცოდნის შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სპეციალისტს/გიმნაზიის ადმინისტრაციას;

27.2.თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ბულინგი ან კიბერბულინგი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს;

27.3.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებული არიან დაადგინოს ბულინგის/კიბერბულინგის მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები;

27.4.დაუშვებელია ბულინგის/კიბერბულინგის ფაქტის იგნორირება. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია უზრუნველყოს კონფლიქტის მოგვარების დროს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყონ მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება;

27.5.უსაფრთხოების სპეციალისტი/სკოლის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დააკვირდეს როგორც ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი;

27.6. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია ბულინგის/კიბერბულინგის გამტარებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა ბულინგი/კიბერბულინგი;

27.7.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული ბულინგის ხარისხის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ფსიქოლოგის გამოძახება, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;

27.8.უსაფრთხოების სპეციალისტი ამისამართებს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელ ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 28. მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია ნებისმიერი ნიშნის მიხედვით

28.1.ნებისმიერი პირი ვალდებულია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ ნებისმიერი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაციის განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სპეციალისტს/გიმნაზიის ადმინისტრაციას;

28.2.თუ მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაცია შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს;

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
- 28.3.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის მიზეზები, გაესაუბრონ ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაყოლებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები;
- 28.4.დაუშვებელია მოსწავლის მიერ/მოსწავლის მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციის ფაქტის იგნორირება, ფსიქოლოგი/უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია უზრუნველყოს სიტუაციის მიუკერძოებლად შეფასება და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება;
- 28.5.ფსიქოლოგი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დააკვირდეს როგორც დისკრიმინაციის განმახორციელებელ მოსწავლეს, ასევე მოსწავლეს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია;
- 28.6.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია დისკრიმინაციის განმახორციელებელი მოსწავლისა და იმ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომლის მიმართაც განხორციელდა დისკრიმინაცია;
- 28.7.უსაფრთხოების სპეციალისტი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც უსაფრთხოების სპეციალისტი ამისამართებს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელ ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 29. მოსწავლის დესტრუქციული ქცევა

- 29.1.მოსწავლის დესტრუქციული ქცევაა გაკვეთილის ჩაშლის მცდელობა, ასევე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლის, უსაფრთხოების სპეციალისტისა და გიმნაზიაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობა;
- 29.2.თუ მოსწავლე ამა თუ იმ ფორმით ხელს უშლის საგაკვეთილო პროცესს, არ ითვალისწინებს მასწავლებლის შენიშვნებს, მასწავლებელი ვალდებულია მაქსიმალურად შეეცადოს მის სასწავლო პროცესში ჩართვას. თუ ვერ მოხერხდა მოსწავლის ქცევის დარეგულირება, მასწავლებელი იძახებს ფსიქოლოგს/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელს და მოსწავლეს მათი თანხლებით ატოვებინებს საგაკვეთილო პროცესს;
- 29.3.დაუშვებელია საგაკვეთილო პროცესიდან მოსწავლეების ჯგუფურად გაშვება;
- 29.4.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია, ფსიქოლოგის ჩართულობით, ფაქტის შესახებ ინფორმაციას აწვდის მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
- 29.5.გაკვეთილის დასრულებამდე/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მოსვლამდე მოსწავლე უნდა იმყოფება ბიბლიოთეკაში გიმნაზიის ადმინისტრაციის მეთვალყურეობის ქვეშ;
- 29.6.გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის, მასწავლებლის, ფსიქოლოგისა და გიმნაზიაში დასაქმებული სხვა პირების კანონიერი მოთხოვნისადმი მოსწავლის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია, ფსიქოლოგის ჩართულობით, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

- ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
- 29.7. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სკოლაში გამოცხადებამდე უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია, ფსიქოლოგის ჩართულობით, ვალდებულია მოსწავლე არ დატოვოს უმეტესადაც;
- 29.8. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სკოლის შენობას დატოვებს მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის გიმნაზიაში გამოცხადებამდე, კლასის დამრიგებელი/გიმნაზიის ადმინისტრაცია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია მოსწავლის ადგილსამყოფლის დადგენა ან/და მოსწავლესთან დაკავშირება, უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ ატყობინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს;
- 29.9. უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც უსაფრთხოების სპეციალისტი ამისამართებს მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელ ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით.
- მუხლი 30. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღება, ფულის შეგროვება, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევა, გიმნაზიის მოსწავლის/მასწავლებლის/თანამშრომლის/ქონების ხელყოფა**
- 30.1. მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ნებისმიერი პირი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს უსაფრთხოების სპეციალისტს/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელს;
- 30.2. იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ან/და ფსიქოლოგი დაუყოვნებლივ უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს;
- 30.3. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, ფაქტის შემსწრე პირი ან/და კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაადგინოს მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერი ფორმით გამორთმევის შესახებ ფაქტთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მიზეზები, გაესაუბროს ყველა ჩართულ მხარეს, დაადგინოს წინააღმდეგობები მონაცემებს შორის და შეიმუშაოს პრობლემის მოგვარების გზები;
- 30.4. გიმნაზია არ დაუშვებს მოსწავლის მიერ ფულის/ნივთის უნებართვოდ აღების, ფულის შეგროვების, ფულის/ნივთის სხვა მოსწავლისათვის იძულების ნებისმიერ ფორმით გამორთმევის ფაქტის იგნორირებას. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია სიტუაცია შეაფასოს მიუკერძოებლად და უზრუნველყოს მხარეებს შორის შემდგომი კონფრონტაციის არიდება;
- 30.5. უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დააკვირდეს მხარეებს სიტუაციის მოგვარების შემდეგაც, თუ მოსწავლე შემთხვევის შემდეგ გიმნაზიაში არ დადის, გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია დამრიგებელი ადგენს მიზეზს და შეიმუშავებს გეგმას მისი სასწავლო პროცესში დაბრუნებისათვის;

30.6.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენელი/კლასის დამრიგებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია სიტუაციაში მონაწილე მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს;

30.7.უსაფრთხოების სპეციალისტი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც ამისამართებს მოსწავლეს და მის კანონიერ წარმომადგენელ ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 31. მოსწავლის/მასწავლებლის/სკოლის თანამშრომლის/სკოლის ქონების ხელყოფა

31.1.ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის თანამშრომლის/გიმნაზიის ქონების ხელყოფის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაციის;

31.2.იმ შემთხვევაში, თუ ფაქტი შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია დაუყოვნებლივ უკავშირდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრს - „112“-ს;

31.3.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია ფოტოზე ასახოს მოსწავლის/მასწავლებლის/გიმნაზიის თანამშრომლის/გიმნაზიის ქონების ხელყოფის შედეგი;

31.4.უსაფრთხოების სპეციალისტი/გიმნაზიის ადმინისტრაცია თანამშრომლის/გიმნაზიის ქონების ხელმწიფი მოსწავლის დადგენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია შესაბამის პირს აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი;

31.5.უსაფრთხოების სპეციალისტი უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის შეფასებას კითხვარის გამოყენებით, რომლის საფუძველზეც ამისამართებს მოსწავლეს ფსიქოლოგთან შემდგომში დახმარების/მომსახურების გაწევის მიზნით.

მუხლი 32. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება

32.1.მოსწავლის/მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, დასაშვებია განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემოში, უფლებამოსილი პირის თანდასწრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლის/მოსწავლეების ქმედებით საფრთხე ემუქრება პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და ამ წესის 21-ე და 22-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთის აღმოჩენა სხვაგვარად შეუძლებელია ან მოსწავლე უარს აცხადებს უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელებისას აღმოჩენილი ამ წესის 21-ე და 22-ე მუხლებით გათვალისწინებული ნივთის უსაფრთხოების სპეციალისტისათვის გადაცემაზე;

32.2.გიმნაზიის ადმინისტრაცია/უსაფრთხოების სპეციალისტი საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ფსიქოლოგის გამოძახებას და ჩართულობას, რომელიც ცალ-ცალკე ესაუბრება მოსწავლესა და მის კანონიერ წარმომადგენელს და ახორციელებს სიტუაციის პირველად მართვას;

- ა) აიპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია**
- 32.3.ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში გიმნაზია უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარისა და მასწავლებლის მეთვალყურეობით განხორციელდეს მოსწავლის/მოსწავლეების ჩართვა სასკოლო აქტივობებში, კერძოდ: მომდევნო დღის გაკვეთილების მომზადება, საგანმანათლებლო პროექტებზე მუშაობა, საგანმანათლებლო რესურსების შექმნა, დაზიანებული სახელმძღვანელოების განახლება აღდგენა, კლასგარეშე ლიტერატურის გაცნობა და სხვა, გიმნაზიის მიერ განსაზღვრული სხვა აქტივობები;**
- 32.4. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევების მომენტიდან ბიბლიოთეკარისა და მასწავლებლის/გიმნაზიის ადმინისტრაციის მიერ, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების დროს უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლის/მოსწავლეების უსაფრთხოება, რისკის შემცირება და მოსწავლის/მოსწავლეების ქცევის მართვა;**
- 32.5. მოსწავლის განცალკევების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მოსწავლის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში – სამართალდამცავ ორგანოს;**
- 32.6. მოსწავლის/მოსწავლეების განცალკევება განხორციელდება ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად, მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის გიმნაზიაში გამოცხადებამდე;**
- 32.7. მოსწავლის განცალკევების უფლება აქვს უსაფრთხოების სპეციალისტს, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში - ადმინისტრაციის წარმომადგენელს, რომლებიც მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტავს იმ გარემოებებს, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება მოსწავლის განცალკევება;**
- 32.8. უსაფრთხოების სპეციალისტი ადგენს მოსწავლის განცალკევების განხორციელების შესახებ ოქმს.**

მუხლი 33. მდგომარეობის მართვა

- 33.1. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის პირველადი შეფასება ხორციელდება:**
 - ა) ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში – უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ კითხვარების გამოყენებით, რომლის ვადაც განისაზღვრება გიმნაზიის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
 - ბ) ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში - ფსიქოლოგის მიერ;
- 33.2. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის პირველადი შეფასების წესსა და კითხვარს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 03 ივლისის №135/ნ ბრძანების 1, მე-2 და მე-3 დანართებზე დაყრდნობით ამტკიცებს გიმნაზიის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;**
- 33.3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასება არის მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის შემდგომი მართვის მიზნით ფსიქოლოგის რეფერირების (შემდგომში – რეფერირება) საფუძველი;**

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
33.4. მოსწავლეების, მათი კანონიერი წარმომადგენლების, აგრეთვე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლების ან/და მასწავლებლების მდგომარეობის შემდგომი მართვის მიზნით, ფსიქოლოგიურ მომსახურებას უზრუნველყოფს გიმნაზიის ფსიქოლოგი, რაც არის კონფიდენციალური და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 34. ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა

34.1. მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის, აგრეთვე გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ან/და მასწავლებლებისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს გიმნაზიის ფსიქოლოგი;

34.2. ფსიქოლოგის მომსახურების გაწევის საფუძველია:

ა) უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ მოსწავლის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლის ან/და მასწავლებლის რეფერირება;

34.2. დაუშვებელია მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმა იმ მოტივით, რომ მისი კანონიერი წარმომადგენელი არ არის ;

34.3. მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლისათვის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, ფსიქოლოგი „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით გათვალისწინებული ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ექვის გამოკვეთის მიზნით, უზრუნველყოფს მოსწავლის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის მოძიებას, რა დროსაც მონაცემთა სუბიექტს აწვდის ინფორმაციას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად. ინფორმაციის მოძიების შედეგად „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილებით გათვალისწინებული ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ექვის გამოკვეთის შემთხვევაში, ფსიქოლოგი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსათვის. ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ახდენს უსაფრთხოების სპეციალისტის, გიმნაზიის ადმინისტრაციისა და მოსწავლის კლასის დამრიგებლის ინფორმირებას, რა დროსაც მიაწოდებს ინფორმაციას სავარაუდო ძალადობის ფაქტის, ძალადობის ფორმისა და მოძალადის/ძალადობის მსხვერპლის შესახებ;

34.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ინფორმირების მიზნით, ფსიქოლოგი ავსებს ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათს „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების შესაბამისად;

34.5. მოსწავლის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, მოსწავლის ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის ფარგლებში, უსაფრთხოების სპეციალისტი ფსიქოლოგის ჩართულობით, უზრუნველყოფს შესაბამისი კონსულტაციების გაწევას მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლებისთვის, მასწავლებლებისთვის, კლასის დამრიგებლისთვის, გიმნაზიის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, ასევე სხვა პირებისათვის, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ მოსწავლის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
მუხლი 35. მედიაცია

- 35.1. გიმნაზია, მოსწავლეებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში უზრუნველყოფს მედიაციას დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის, მათი კანონიერი წარმომადგენლების, უსაფრთხოების სპეციალისტის, ფსიქოლოგის (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) ჩართულობით;
- 35.2. გიმნაზია იხელმძღვანელებს მედიაციის სტანდარტული გეგმით, კონფლიქტური სიტუაციის ხასიათის გათვალისწინებით, გაატარებს მედიაციის სტანდარტული გეგმისგან განსხვავებულ ისეთ ღონისძიებებს, რომელიც მოსწავლეების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიმართული იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისკენ.

თავი IV. საინფორმაციო ბაზის წარმოების წესი

მუხლი 36. საინფორმაციო საქმისწარმოების წესი

- 36.1. გიმნაზია, ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნამდე, გიმნაზიის ტერიტორიაზე გამოვლენილი დარღვევის ან სავარაუდო დარღვევის გამოვლენის შესახებ ახორციელებს საინფორმაციო საქმისწარმოებას დოკუმენტური/მატერიალური სახით იმავე დღეს, ხოლო ობიექტური გარემოების გათვალისწინებით აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში – არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;
- 36.2. საინფორმაციო საქმისწარმოების დოკუმენტური/მატერიალური სახით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია გიმნაზიის საქმისმწარმოებელი და უსაფრთხოების სპეციალისტი, დოკუმენტი ინახება მოსწავლის სტატუსის ვადით, რის შემდეგაც ინფორმაცია ნადგურდება;
- 36.3. საქმისმწარმოებელი გამოვლენილ დარღვევას ან სავარაუდო დარღვევას, რომელმაც შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას მოსწავლისა და სხვა პირთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან/და ქონებას, დარღვევის/სავარაუდო დარღვევის გამოვლენისთანავე დაუყოვნებლივ ასახავს ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში. ამასთან, აღნიშნულის შესახებ ვალდებულია შეატყობინოს გიმნაზიის დირექციასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;
- 36.4. საქმისმწარმოებელი, უსაფრთხოების სპეციალისტთან ერთად, გამოვლენილ დარღვევას/სავარაუდო დარღვევას ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში ასახავს დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შევსებით;
- 36.5. საქმისმწარმოებელი, გამოვლენილი დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში შეტანის დასრულებისთანავე, დარღვევის აღრიცხვის ფურცლის ელექტრონული ვერსია ამავე ელექტრონული საინფორმაციო ბაზის გამოყენებით უგზავნის გიმნაზიის რექტორს;
- 36.6. გიმნაზიის რექტორი გამოვლენილი დარღვევის შესახებ დარღვევის აღრიცხვის ფურცლის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, უზრუნველყოფს მოსწავლის მიმართ სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებების დაწყებას, კერძოდ - სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესწავლას, პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ხოლო დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, უზრუნველყოს მოსწავლის მიმართ გიმნაზიის შინაგანაწესით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას;
- 36.7. კლასის დამრიგებელი, სკოლის დირექცია, დისციპლინური კომიტეტი ვალდებული არიან გამოვლენილ დარღვევაზე/სავარაუდო დარღვევაზე მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდონ უსაფრთხოების სპეციალისტს, ღონისძიების განხორციელებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
36.8.ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში დაცული ინფორმაცია ინახება მოსწავლის სტატუსის
ვადით, რის შემდეგაცხდება ინფორმაციის წაშლა;

36.9.საქმისმწარმოებლისან/და უსაფრთხოების სპეციალისტის ელექტრონულ საინფორმაციო
ბაზაში ინფორმაციის შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, შეცვლა, გამჟღავნება ან
ნებისმიერი სხვა უკანონო დამუშავება გამოიწვევს პასუხისმგებლობას, საქართველოს
კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი V გიმნაზიის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი

**მუხლი 37. გიმნაზიის ვიდეოთვალთვალის სისტემით აღჭურვისა და ვიდეოთვალთვალის სისტემის
ადმინისტრირების წესი**

37.1.გიმნაზია აღჭურვილია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოთვალთვალთ და შეესაბამება „აზარტული
და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე
პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143
ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-
ექსპლუატაციის წესებს, რითაც შესაძლებელია გიმნაზიის დერეფნის, შესასვლელისა (ფოიე) და კიბის
უჯრედის, ვიდეოდაკვირვებისა და იქ მყოფი პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიკაცია;

37.2.ვიდეოდაკვირვება არ ხორციელდება გიმნაზიის სველ წერტილებში, საკლასო ოთახში და
სამსწავლებლოში, დახურულ სპორტულ დარბაზში;

37.3.ვიდეოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირებას უზუნველყოფს გიმნაზიის აღმასრულებელი
დირექტორი ან/და უსაფრთხოების სპეციალისტი, გიმნაზია შიდა პერიმეტრზე დამონტაჟებული
ვიდეოსათვალთვალ სისტემით ვიდეოჩაწერსა აწარმოებს მთელი სასკოლო დროის განმავლობაში,
ხოლო გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალ სისტემით ვიდეოჩაწერას –
მუდმივად;

37.4.გიმნაზიაში ვიდეოჩაწერის შედეგად მიღებული მაგნიტური ლენტები (ელექტრონული ინფორმაცია),
შესაბამისი ჩანაწერებით, არანაკლებ 30 დღისა ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე და
დასაბუთებული მოთხოვნისთანავე წარედგინება გიმნაზიის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს,
სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ასეთის
საჭიროების შემთხვევაში;

37.5.დაუშვებელია უფლებამოსილი პირის მიერ საკლასო ოთახში, საგაკვეთილო პროცესის დროს
საკუთარი ინიციატივით შესვლა, საგაკვეთილო პროცესის დროს მისი შესვლა დასაშვებია საგნის
მასწავლებლის ან/და კლასის დამრიგებლის ან/და გიმნაზიის დირექციის მოთხოვნის
შემთხვევაში, როცა საფრთხე ემუქრება საკლასო ოთახში მყოფთა სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას
ან/და ქონებას.

**მუხლი 38. გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერებისა და უსაფრთხოების სპეციალისტის
ფიზიკური ძალის გამოყენების შემთხვევების წესი**

38.1.გიმნაზიის უსაფრთხოების სპეციალისტის/აღმასრულებელი დირექტორის მიერ გიმნაზიის
ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ხორციელდება:

ა) გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის დათვალიერება ვიდეოსათვალთვალ სისტემის
საშუალებით;

ბ) გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერებით;

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
38.2.გიმნაზიის შიდა და გარე პერიმეტრის არადისტანციურად დასათვალიერებლად უსაფრთხოების სპეციალისტი ოთახიდან გადის/გადიან საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 წუთისა და ახორციელებს გიმნაზიის გარე პერიმეტრის არადისტანციური დათვალიერებას სისტემატურად;

38.3.გიმნაზიის უფლებამოსილ პირს ფიზიკური ძალის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, გამოყენებული ფიზიკური ძალა წარმოქმნილი საფრთხის პროპორციული უნდა იყოს მაშინ, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, კერძოდ:

38.4.ფიზიკური ძალის გამოყენების დროს აღმასრულებელი დირექტორი/უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია:

ა) გააფრთხილოს პირი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ და მისცეს მას საკმარისი დრო მისი მოთხოვნების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის უსაფრთხოების სპეციალისტისა ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან გამოიწვევს სხვა მძიმე შედეგებს, ან როდესაც პირის გაფრთხილება შეუძლებელია, ფიზიკური ძალის გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში, წერილობით შეატყობინოს ამის შესახებ სამინისტროს, გიმნაზიის რექტორსა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს;

38.5.აკრძალულია ფიზიკური ძალის გამოყენება ფეხმძიმე ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი მოქმედებით აშკარა საფრთხე ექმნება უსაფრთხოების სპეციალისტის ან სხვა პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

მუხლი 39. უსაფრთხოების სპეციალისტის უფლება-მოვალეობები

39.1.უსაფრთხოების სპეციალისტის უფლება-მოვალეობებია:

- ა) გიმნაზიისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის კონტროლი;
- ბ) გიმნაზიაში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება;
- გ) გიმნაზიის პედაგოგიური საბჭოს, დირექციისა და მოსწავლეების თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება;
- დ) მოსწავლეებისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლის სამართლის დანაშაულებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;
- ე) მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლებისა და სკოლის შესაბამისი უფლებამოსილი პირის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა ქცევის შესახებ;
- ვ) კატასტროფის (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) დროს მოსწავლეთა, გიმნაზიაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვისა და ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა, აგრეთვე კატასტროფისათვის მზადყოფნის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების დაგეგმვაში, მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა;

- ა) ა) საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
 - ბ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ძალადობის (მათ შორის, ბულინგის) საწინააღმდეგო, საგანმანათლებლო კამპანიებისა და სხვა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
 - თ) დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება;
 - ი) სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებთან შეხვედრებში მონაწილეობა;
 - კ) დამოუკიდებლად ან გიმნაზიის დირექციასთან ერთად გიმნაზიის ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვა;
 - ლ) გიმნაზიაში გამოვლენილი დარღვევის შესახებ დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა; დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენის მიზნით, საჭიროებისამებრ, ფაქტთან დაკავშირებული პირებისაგან (მათ შორის მოსწავლეებისაგან) დარღვევის/სავარაუდო დარღვევის ფაქტის შესახებ ინფორმაციის მოძიება, შედგენილი დარღვევის აღრიცხვის ფურცლის გიმნაზიის დირექციისათვის წარდგენა;
 - მ) გიმნაზიაში ვიდუოთვალთვალის სისტემის ადმინისტრირება;
 - ნ) მოსწავლის განცალკევება ამ წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
 - ო) საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთის, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის იარაღის აღმოჩენის, იმ საგნის აღმოჩენის, რომელსაც სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის კვალი ატყვია, სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენით მოპოვებული ნივთისა და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნისა და დოკუმენტის აღმოჩენის მიზნით, რომლებიც საჭიროა სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის/სამართალდარღვევის ჩადენის გარემოებათა გასარკვევად, უკონტაქტო ზედაპირული დათვალისწინებული განხორციელება მეტალოდეტექტორის გამოყენებით;
 - პ) ამ წესით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

39.2. უსაფრთხოების სპეციალისტი მოვალეობებისა უფლებების განხორციელებისას და მოვალეობების შესრულებისას თანამშრომლობს გიმნაზიასთან. ამასთან, უსაფრთხოების სპეციალისტი მიწვევის საფუძველზე ესწრება გიმნაზიის სტრუქტურული ერთეულების სხდომებს და გამოთქვამს მოსაზრებებს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე;

39.3. უსაფრთხოების სპეციალისტი ვალდებულია გიმნაზიის რექტორის მიერ განსაზღვრულ შესაბამის უფლებამოსილ პირს მიაწოდოს ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტზე, თუ არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება.

მუხლი 40. უსაფრთხოების სპეციალისტის საინფორმაციო უზრუნველყოფა

40.1. უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელების მიზნით, გიმნაზიის დირექცია უზრუნველყოფს უსაფრთხოების სპეციალისტს:

- ა) მოსწავლეების ბაზით და საკონტაქტო ინფორმაციით;
- ბ) მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების ბაზით და საკონტაქტო ინფორმაციით;
- გ) დირექციისა და თითოეული კლასის დამრიგებლის (იმის მითითებით, თუ რომელი მოსწავლის კლასის დამრიგებელია) საკონტაქტო ინფორმაციით;
- დ) გიმნაზიის შინაგანაწესით;

- ა) ა) საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია ე) საათობრივი ბადით;
- ვ) საევაკუაციო გეგმით.

40.2. უსაფრთხოების სპეციალისტი სასწავლო წლის დასაწყისში, გიმნაზიის დირექციასთან წინასწარი შეთანხმებით, გაცნობის მიზნით, ხვდება მოსწავლეებსა და მოსწავლეების კანონიერ წარმომადგენლებს და აცნობს მათ თავის უფლება-მოვალეობებს.

მუხლი 41. უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების, მოსწავლის განცალკევებისა და უფლებამოსილი პირის მიერ ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმის შედგენის წესი

უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების, მოსწავლის განცალკევებისა და ფიზიკური ძალის გამოყენების განხორციელების შემდგომ, უზრუნველყოფს ოქმის შედგენას დანართი - №1-ით, №2-ითა და №3-ით გათვალისწინებული ფორმით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 03 ივლისის №135/ნ ბრძანებით.

მუხლი 42. უსაფრთხოების სპეციალისტის ურთიერთობა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან

უსაფრთხოების სპეციალისტის ურთიერთობა მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან დამყარებულია ურთიერთთანამშრომლობისა და ნდობის პრინციპზე, რომელიც მოსწავლეს ეხმარება, პიროვნებისადმი პატივისცემის, დისციპლინის, ქცევის, ნებისყოფისა და სიმწიფეების გადალახვის უნარის გამომუშავებაში, იყოს გაწონასწორებული, არ ახდენდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მოსწავლეებზე, უნდა შეეძლოს კონფლიქტური სიტუაციების პრევენცია და მათი განმუხტვა;

თავი VI. წესის დარღვევა

მუხლი 43. წესის დარღვევა

43.1. წინამდებარე წესის დარღვევა იწვევს დისციპლინურ პასუხისმგებლობას გიმნაზიის შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

43.2. გიმნაზის შინაგანაწესში ამ წესის დარღვევისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი დისციპლინური ღონისძიებები, დარღვევის შედეგების სიმძიმის გათვალისწინებით.

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია

დანართი №1

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 3 ივლისის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 04.07.2019წ.

უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების ოქმი N_____

1. -----

(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. -----

(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. პირი/ნივთი, რომელსაც უტარდება უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება:

-----/-----

(სახელი და გვარი)

(ნივთის დასახელება)

4. ფაქტის აღწერა (რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება):

5. მოსწავლისადმი უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერების განხორციელების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

6. პირი, რომელიც ესწრებოდა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებას:

ა) -----

(სახელი და გვარი)

დამსწრე პირი

ბ) -----

(თანამდებობის დასახელება)

მოსწავლე, რომლის მიმართაც განხორციელდა უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

შენიშვნა:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია

დანართი №2

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 3 ივლისის ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 04.07.2019წ.

განცალკევების ოქმი N_____

1. -----

(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. -----

(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. განცალკევებული სუბიექტი:

ა) -----

(სახელი და გვარი)

4. პირი, რომელიც ესწრებოდა განცალკევების პროცესს:

ა) -----

(სახელი და გვარი)

ბ) -----

(თანამდებობის დასახელება)

5. ფაქტის აღწერა (რა გარემოების საფუძველზე, რა მიზნით, სად, რა პირობებში, ვისი თანდასწრებითა და მონაწილეობით განხორციელდა განცალკევება):

6. მოსწავლისგანცალკევების განხორციელების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

დამსწრე პირი

მოსწავლე, რომლის მიმართაც
განხორციელდა განცალკევება

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი,

რომელმაც მოაკითხა მოსწავლეს -----

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

შენიშვნა:-----

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია

დანართი №3

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 3 ივლისის
ბრძანება №135/ნ - ვებგვერდი, 04.07.2019წ.

ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ ოქმი N_____

1. _____

(შედგენის დრო და თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

2. _____

(ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი გვარი)

3. პირი, ვის მიმართაც გამოყენებული იქნა ფიზიკური ძალა:

4. ფაქტის აღწერა (ფიზიკური ძალის გამოყენების აუცილებლობის დასაბუთება):

5. პირი, რომელიც შეესწრო საგანმანათლებლო დაწესებულების უსაფრთხოების სპეციალისტის იერ
ფიზიკური ძალის გამოყენების ფაქტს:

ა) _____

(სახელი და გვარი)

ბ) _____

(თანამდებობის დასახელება)

6. მოსწავლისადმი ფიზიკური ძალის გამოყენების შესახებ მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლისათვის
შეტყობინება და შეტყობინების დრო

(მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის სახელი და გვარი)

დამსწრე პირი

მოსწავლე, რომლის მიმართაც

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობი გიმნაზია
გამოყენებულ იქნა ფიზიკური ძალა

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენი

(ხელმოწერა)

შენიშვნა:-----

(ხელმოწერა)

მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი

(ხელმოწერა)